საქართველოს
ეროვნული პლატფორმა

აღმოსავლეთ პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა

თარიღი: 27 მარტი, 2023 წელი

დრო: 17:00 - 18:00

შეხვედრის ადგილი: Zoom

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ნინო ჩხობაძე - საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები
2. ლაშა ტუღუში - ლიბერალური აკადემია თბილისი
3. კონსტანტინე ჟღენტი - საქართველოს ბიზნეს საკონსულტაციო ორგანიზაციების ასოციაცია
4. დათო ცისკარიძე - საერთაშორისო ბიზნესის და ეკონომიკის განვითარების ცენტრი
5. ქეთევან ცხაკაია - იმერეთის მხარის მეცნიერთა კავშირი ,,სპექტრი”
6. ცირა მესხიშვილი - ასოციაცია ტოლერანტი
7. ირინა ფუტკარაძე - საზოგადოებრივი დამცველი

განსახილველი საკითხები:

1. მიმდინარე საკითხები
2. გაწევრიანების მსურველი ორგანიზაციის საკითხის განხილვა

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა გახსნა მმართველი კომიტეტის თავმჯდომარე, ნინო ჩხობაძემ.

საკოორდინაციო საბჭოს მსვლელობისას ისაუბრეს საქართველოში მიმდინარე პროცესებზე და შექმნილ ვითარებაზე. მას შემდეგ რაც მმართველი პარტია, საპროტესტო აქციების ფონზე, იძულებული გახდა პირველი მოსმენით მიღებული კანონპროექტი „უცხოური გავლენის გამჭვირვალეობის შესახებ“ დაჩქარებული წესით მეორე მოსმენაზე ჩაეგდო და ამავე კანონის მეორე ვერსია ინიციატორებს უკან გაეწვიათ, ახლა ეროვნული პლატფორმის საკოორდინაციო საბჭო თანხმდება, რომ მნიშვნელოვანია ყველა მხარე კონცენტრირდეს 12 პუნქტიანი რეკომენდაციების შესრულებაზე.
მმართველი კომიტეტის შეხვედრაზე, საბჭოს წევრები შეთანხმდნენ, რომ მომზადდება განცხადების ტექსტი, სადაც ყველა მხარეს მოუწოდებენ გაკეთდეს ყველაფერი ქვეყნისთვის კანდიდატის სტატუსის მისაღებად.

ეროვნული პლატფორმის საკოორდინაციო საბჭოს წევრები თანხმდებიან, რომ ყველა მხარის მხრიდან განხორციელებული ნებისმიერი ქმედება, რომელიც მიზნად ისახავს როგორც ამ კანონის მხარდამჭერი დეპუტატების, ისე კანონის მოწინააღმდეგეების ოჯახის წევრებზე ძალადობასა და დაშინებას, არის მიუღებელი.

შეხვედრაზე, იმსჯელეს ახალი წევრი ორგანიზაციის მიღების საკითხზე. ეროვნული პლატფორმის სამდივნოს, გაწევრიანების სურვილით მიმართა ერთმა ორგანიზაციამ. წარმოდგენილი დოკუმენტაცია, სრულად გაეგზავნა საკოორდინაციო საბჭოს წევრებს. შეხვედრაზე, სამდივნომ და ორგანიზაციის რეკომენდატორმა, მოკლედ მიმოიხილა ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები და მმართველი კომიტეტის გადაწყვეტილებით, ორგანიზაციის განაცხადი დადებითად შეფასდა. კოალიციის ახალი წევრია:

ბიზნესის ხელშემწყობი ცენტრი ქუთაისი - მეორე სამუშაო ჯგუფი

ერთსაათიანი მსჯელობის შემდეგ შეხვედრა დასრულდა

შეხვედრის მდივანი: ქეთევან ჭურაძე